# ახალი ხარაგაული

**№318 (10), 26 აპრილი, 2016 წ.**


ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულენო!

მოყვასის სიყვარული, სულიერი აღდგომა-ამაღლება იყოს თითოეული თქვენგანის ყოველდღიური საზრისი.

უფლის მადლმა გააბრწყინოს თქვენი კარა!

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი**
**კობა ლურსმანაშვილი**




ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის ყველა მცხოვრებს ვულოცავ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. დაე, ამ გამორჩეულ დღეს მუდამ შეხვედროდეთ ჯანმრთელები, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებით კმაყოფილები.

გისურვებთ სულიერ სიმშვიდესა და დღეგრძელობას!

**ბაზალეთის თემის მაჟორიტარი**
**დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი**

## კობა ლურსმანაშვილი ხარაგაული - ღორეშა-უბისის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსებას ითხოვს

ხარაგაული-ღორეშა-უბისის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი გრძელდება. აღნიშნულ საავტომობილო გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, მუნიციპალური განვითარების ფონდს წერილით მიმართა. ასევე მომზადდა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაეგზავნა.

ოფიციალურ წერილში, რომლითაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს, ჯუანშერ ბურჭულაძეს, მიმართა, ვკითხულობთ:

„მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ხარაგაული-ღორეშა-უბისის საავტომობილო გზა, რომელიც მუნიციპალიტეტის ცენტრს, დაბა ხარაგაულს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზასთან აკავშირებს. გზა მუნიციპალიტეტის ხუთ ტერიტორიულ ერთეულზე გადის, სადაც მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 8 000 კაცს შეადგენს. აღნიშნული გზის სიგრძეა 21 კილომეტრი და ამ გზით სარგებლობას მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა უმრავლესობა შეძლებს. გზის რეაბილიტაცია სტიმულს მისცემს მცირე მეწარმეობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარებას, ასევე ხელს შეუწყობს ტურისტულ აქტივობებს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წელს განხორციელდა აღნიშნული გზის ხარაგაული-ბაზალეთის 2 კილომეტრიანი მონაკვეთის ა/ბეტონის საფარით მოწყობა ამჟამად მიმდინარეობს ამ მონაკვეთის ერთკილომეტრიანი გზის დაგრძელების სამუშაოები. ასევე, როგორც თქვენთვის ცნობილია, მუნიციპალური ფონდის მიერ მიმდინარეობს უბისის ტაძრის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ფარგლებში გზის ერთკილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები. აგრეთვე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები უბისა-ღორეშის 5, 5 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მოსაბეტონებლად.

ამგვარად, ხარაგაული -ღორეშა- უბისის 21 კილომეტრიანი გზის დაახლოებით 9,5 კილომეტრიანი მონაკვეთი მთლიანად რეაბილიტირებული იქნება მიმდინარე წლის შემოდგომამდე, რაც შეეხება გზის დარჩენილ 11 კილომეტრიან მონაკვეთს,არის მძიმედ დაზიანებული, ტრანსპორტისთვის გაძნელებულია მასზე გადაადგილება, საჭიროებს ხშირ შეკეთებას და სოლიდური თანხების ხარჯვას. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, გზის მოხრეშვით სამუშაოებს გრძელვადიანი ეფექტი არ აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტს მოწესრიგებული ალტერნატიული გასასვლელი ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე არ აქვს, გთხოვთ, განიხილოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ღორეშა-ბაზალეთის გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება აღნიშნული გზის რეაბილიტაციის დაფინანსების შესახებ."

**ეკა შავიძე**

## ბიუროს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მოისმინეს



18 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომაზე ბიუროს წევრებმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მოისმინეს, რომელიც აღნიშნული კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, წარმოადგინა.

ვარლამ ჭიპაშვილმა დეტალურად ისაუბრა კომისიის სხდომებზე, საანგარიშო პერიოდში განხილულ საკითხებზე და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებსაც ამომწურავად უპასუხა.

სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მანანა ბარბაქაძემ და საკრებულოს წევრმა, იუზა კელენჯერიძემ, აღნიშნეს, რომ აუცილებელია შემოღებულ იქნეს დასუფთავების მოსაკრებელი და ამისთვის კომისიამ უნდა იმუშაოს.

ვარლამ ჭიპაშვილის განმარტებით, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეიმუშავა დადგენილება, რომელიც დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებას ითვალისწინებდა, მაგრამ საკრებულოს უმრავლესობამ აღნიშნულს მხარი არ დაუჭირა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში თუ მოქალაქეს მაგალითად, წყლის გადასახადი აქვს 0.40 ლარი ბანკის საკომისიო, რამდენჯერმე აღემატება გადასახდელ თანხას. ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაციით ამ საკითხზე ლიბერთი ბანკის სათაო ოფისშიც გამართა მოლაპარაკებები და იმედი გამოითქვა, რომ უახლოეს მომავალში ეს საკითხი მოწესრიგდება.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი დაინტერესდა რამდენად არის ინფორმირებული საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა(ა)იპ-ებში საბიუჯეტო ცვლილებებით და კონკრეტულად რაში იხარჯება დამატებული თანხები.

ვარლამ ჭიპაშვილის განმარტებით, საბიუჯეტო ცვლილების მიზანშეწონილობას საკრებულოს უმრავლესობა წყვეტს და ეს არ არის მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გადასაწყვეტი. „როდესაც საბიუჯეტო ცვლილებები ხდება მომხსენებელს ყოველთვის მოაქვს დადგენილების პროექტი, აქვს მოხსენებითი ბარათი თუ რის საფუძველზე მომზადდა საბიუჯეტო ცვლილება. თქვენთვის ამ დოკუმენტების გაცნობა შეზღუდული არ არის. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მისი უფლებამოსილების ფარგლებში საკითხის მომზადებას უზრუნველყოფს და ვდებთ დასკვნას. საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს დეპუტატები ხმათა უმრავლესობით იღებენ. რაც შეეხება ბიუჯეტს, გიპასუხებთ, რომ შეგეძლოთ ბიუჯეტის პროექტს გაცნობოდით, მოგემზადებინათ რეკომენდაციები, წარმოგედგინათ შენიშვნები და ალტერნატივები. ზოგიერთ ა(ა)იპ-ს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული სუბსიდიები შევუმცირეთ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ყველა ორგანიზაციას დავუმტკიცეთ აუცილებელი ხარჯების გასაწევად საჭირო ბიუჯეტი .ზოგ შემთხვევაში შესაძლოა მოგვიწიოს დამატებითი სუბსიდიები, მაგრამ ეს არ წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. კარგი იქნება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის რესურსი საკმარისი იყოს ყველა პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ ამას ჩვენს პირობებში ვერ ვახერხებთ. მივიჩნევ, რომ ა(ა)იპ-ების დაფინანსების საკითხი ნამდვილად საჭიროებს გადახედვას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მოგვიწიოს ა(ა)იპ-ების ოპტიმიზაცია ან რეორგანიზაცია,რაც მოგვცემს შემდგომში შესაძლებლობას გამოთავისუფლებული თანხები სოციალურ და ინფრასტრუქტურულ


**გაგრძელება მე-2 გვერდზე**


## ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტაძრის მშენებლობისთვის 45 ათასი ლარი გადაირიცხა

ხარაგაულის მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის მიზნით, მარგვეთისა და უბისის ეპარქიას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 45 ათასი ლარი გადაურიცხა. აღნიშნული თანხით, ხარაგაულის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის გუმბათის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის მშენებლობისთვის, ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, შუამდგომლობით სსიპ ,,რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს" რამდენჯერმე მიმართა. თავდაპირველად წერილი 2014 წლის 12 დეკემბერს გაიგზავნა. თუმცა,რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ აღნიშნულ მოთხოვნაზე რეკომენდაცია არ გასცა, მიზეზი კი, ეკლესიის გუმბათის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის არარსებობა გახდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ხარჯთაღრიცხვა და პროექტი მომზადდა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა წერილი, რომელიც რელიგიის საკითხთა სააგენტოში გასული წლის დეკემბერში გაიგზავნა. აღნიშნული შუამდგომლობა სრულყოფილად შეისწავლა, როგორც რელიგიის საკითხთა სააგენტომ ისე „რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელ სარეკომენდაციო კომისიამ". სსპ ,,რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს" 30 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიეცა საშუალება, რომ ტაძრის მშენებლობის დახმარებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან საჭირო თანხა გამოეყო. ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მარგვეთისა და უბისის ეპარქიას 45 ათასი ლარი 26 აპრილს გადაერიცხა. აღნიშნული თანხით, ხარაგაულის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის მშენებლობას მოხმარდება. მონიტორინგს სამუშაოების მიმდინარეობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს.

## სააღდგომოდ მუნიციპალიტეტის გამგეობა დევნილებსა და უკიდურესად გაჭირვებულებს ფულადი თანხით დაეხმარება

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნციპალიტეტის გამგეობა მორიგ სოციალურ პროგრამას ახორციელებს. ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსიის, ნანა კიკნაძის, ინფორმაციით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა დევნილს და უკიდურესად გაჭირვებულს მუნიციპალიტეტი ფულად დახმარებას გაუწევს. პროგრამაში სულ 237 ბენეფიციარი ჩაერთვება, რომლებსაც პირად ანგარიშზე 30 ლარი ჩაერიცხებათ. საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ მიმართულებით 7 110 ლარს დახარჯავს.

## საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" იზა ვეფხვაძე ოქროს მედლით დააჯილდოვა




2016 წლის 16 აპრილს საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „რეპორტიორის " დარბაზში საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" გაფართოებული სხდომა შედგა. სხდომაზე ორგანიზაციამ ანგარიში წარმოადგინა და ასევე საპატიო ოქროს მედლით სამი პიროვნება დააჯილდოვა. ესენია ფარმაცევტული კომპანია „ავერსის" დირექტორი პაატა კურტანიძე, „ევროპული სკოლის" დირექტორი ნანა მოსიძე და ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორი და ამავე ასოციაციის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, იზა ვეფხვაძე.

ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამფუძნებელსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, ასოციაციის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იზა ვეფხვაძეს ოქროს მედალი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის, ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრში მრავალი მაღალმხატვრული საავტორო სპექტაკლის განხორციელებაში, ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ასოციაციის საქველმოქმედო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისთვის გადაეცა.

დაჯილდოების შემდეგ იზა ვეფხვაძემ წარმოადგინა ნაწყვეტი ლიტერატურული სპექტაკლიდან „გალაკტიონის ნატერფალები" და აგრეთვე ვრცლად ისაუბრა წიგნზე ,,ფარცხნალი-კორიფეთა სამკვიდრო".


**გაგრძელება მე-2 გვერდზე**


## სოფელ სახვლარში ელექტროენერგიის პრობლემა მოგვარდა

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს" ერთობლივი პროექტი „იმერი" დასრულდა. პროექტის ფარგლებში შემაჯამებელი შეხვედრა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა. შეხვედრას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე იმყოფებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი.



პროექტი, რომელსაც „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო-საქართველო" 14 თვის განმავლობაში ახორციელებდა, იმერეთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის პრობლემების კვლევას და აღნიშნული პრობლემების თვითმმართველობებისა და მოსახლეობის ჩართულობით გადაწყვეტას ითვალისწინებდა. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სახის პრობლემა იმერეთის რეგიონის 10 სოფელს მოუგვარდა. მაგალითად, თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფელ გოგნთან დამაკავშირებელი გზა მოეწყო. საბავშვო ბაღის პრობლემა მოუწესრიგდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხში. რაც შეეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, სოფელ სახვლარში მცხოვრებ სამ ოჯახს ყველაზე მნიშვნელოვანი ელექტროენერგიის პრობლემა მოუგვარდა.სოფელში ელექტროენერგია არასოდეს ყოფილა. სოფელში მუდმივად 3 ოჯახი ცხოვრობს.

„სახვლარი იყო ერთადერთი გამორჩეული სოფელი იმ 10 დასახლებიდან, რომელიც პროექტის ფარგლებში იმერეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეირჩა. სოფელში მუდმივად 3 ოჯახი ცხოვრობს. მათი პრობლემა სპეციფიური იყო. სოფელს არასოდეს ჰქონდა ელექტროენერგია და ჩვენ ადვოკატირება გავუწიეთ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას. ჩვენი მხრიდან ეს იყო ძალიან კარგი თანამშრომლობის მაგალითი არასამთავრობო ორგანიზაციას, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის. ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასა და ცენტრალურ ხელისფლებას შორის. სწორედ ამ კარგი თანამშორმლობის შედეგად შესაძლებელი გახდა, ისეთი თითქოსდა გადაუჭრელი პრობლემის მოგვარებაც კი, როგორც არის ელექტროენერგიის შეყვანა დასახლებაში, სადაც ელექტროენერგია არასდროს ყოფილა. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას აქტიური თანამშრომლობისთვის და პროექტში ჩართულობისთვის.პროექტის ფარგლებში მოვამზადეთ სიუჟეტი,რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ჩვენ მიერ მომზადებულ სიუჟეტებს შორის. სრულიად სხვა რაკურსით დაგვანახვეს იქ მცხოვრებმა მოქალაქეებმა, რას ნიშნავს სოფელი, სოფლად ცხოვრება და გაცილებით ღრმა თემებზე დაგვაფიქრეს. განსაკუთრებით ისეთზე, როგორიცაა სოფლებიდან მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების მასიური მიგრაცია," - განაცხადა შეხვადრაზე ა/ო „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს - საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო თვალთვაძემ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი: „ხარაგაულის მუნიციპლიტეტმა და ა/ო „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ" ურთიერთთანამშრომლობით ერთობლივი პროექტ „იმერის" ფარგლებში მოახერხა ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა და სოფელში ელექტროენერგია მიეწოდება. სოფელი პატარა სახვლარი, უკვე სარგებლობს მაღალმთიანი სოფლის სტატუსით და იქ მცხოვრებლები დამატებით შეღავათებს მიიღებენ. მნიშვნელოვანია, რომ მაღალმთიან სოფელს მიეწოდოს ელექტროენერგია, რათა იგი საერთოდ არ დაიცალოს მოსახლეობისგან. მალე ამ სოფელს ექნება ინტერნეტის მიწოდების შესაძლებელობაც. ასევე მივხედავთ გზებს და იმ შესანიშნავ ადამიანებს, რომლებიც იქ ცხოვრობენ მეტი ყურადღება ექნებათ.ხარაგაულის დანარჩენ სოფლებშიც უწყვეტი ტემპით გრძელდება მშენებლობა. ისევე როგორც სახვლარში, სხვა სოფლებში პრობლემები აუცილებლად მოგვარდება. კიდევ ერთხელ მადლობა „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს - საქართველოს" აღმასრულებელ დირექტორს ნინო თვალთვაძეს ხარაგაულში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისათვის. ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება ყოველთვის მხარს დაუჭერს ისეთი პრობრემატური საკითხების მოგვარებას, რომელიც ადგილობრივებს აწუხებთ.

შეგახსენებთ, რომ პატარა სახვლარში ელექტროენერგია პირველად რამდენიმე დღის წინ ჩაირთო. რომელსაც „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს - საქართველოს" წარმომადგენლებთან ერთად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირველი მოადგილე პაატა გოგოლაძე ესწრებოდა.

**ეკა შავიძე**

## საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ იზა ვეფხვაძე ოქროს მედლით დააჯილდოვა

დასაწყისი პირველ გვერდზე

იქვე გაჩნდა იდეა, რომ აღნიშნული სპექტაკლი ნაჩვენები იქნას გორის მუნიციპალიტეტში. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხნის წინ იზა ვეფხვაძე საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის გამგეობის (ხელმძღვანელი კინორეჟისორი გოგი დოლიძე) გადაწყვეტილებით, ქართული კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვდა დასის საპატიო სიგელით, ასევე ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის საერთაშორისო ფონდისა (ხელმძღვანელი ზურაბ ანჯაფარიძე (უმცროსი) და გაზეთ „თანადგომის“ (გამომცემელი დამსახურებული ეკონომისტი,ანზორ ბაბუხადია) მიერ, ერის ღირსეულ შვილთა სახელობის უკვდავსაყოფად გაწეული ღვაწლისათვის იზა ვეფხვაძე მადლობის სიგელით იქნა დაჯილდოებული.

აქვე არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ის დიდი ღვაწლი და დამსახურება, რაც საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ და მის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია კვეზერელს მიუძღვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე. ეს კი გამოიხატება განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მიმართ განხორციელებული ქველმოქმედებით. ზოგადად, აღნიშნული ორგანიზაციის კეთილშობილური საქმიანობა მთელ საქართველოს წვდება და მთავრი ისაა, რომ ეს დიდი საქმე კეთდება სრულიად უანგაროდ იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ თანადგომა.

**ეკა შავიძე**

## საბიბლიოთეკო კვირეულს ბაზალეთის სასოფლო ბიბლიოთეკა შეუერთდა



საბიბლიოთეკო კვირეულს ხარაგაულში ბაზალეთის სასოფლო ბიბლიოთეკა შეუერთდა. ღონისძიება ბიბლიოთეკის ეზოში, საუკუნოვანი ვერხვის ხის ძირში, გაიმართა, რომელსაც ბაზალეთისა და ღარიხევის სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები, ბაზალეთის თემის მაჟორიტარი დეპუტატი, ვარლამ ჭიპაშვილი და გამგებლის წარმომადგენელი, თენგიზ ჭიპაშვილი, ესწრებოდნენ.

ღონისძიების დასაწყისში დამსწრე საზოგადოებას ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ვარლამ ჭიპაშვილი, მიესალმა და საბიბლიოთეკო კვირეულის შესახებ ისაუბრა.

„საბიბლიოთეკო კვირეული საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს. ამ ღონისძიებას ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკაც შეუერთდა და ეს ფაქტი ნამდვილად მისასალმებელია. ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიბლიოთეკა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განვაახლეთ. ბიბლიოთეკას ჰყავს აქტიური მკითხველი, რაც იმის დასტურია, რომ წიგნი არის და მომავალშიც დარჩება ცოდნისა და განათლების პირველწყაროდ. სოფელს მხოლოდ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ვერ განავითარებს. ადამიანს სჭირდება, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი საზრდო. წიგნი დიდი ტრიბუნების წინაპარია, ჩვენი ცხოვრების გასაღები მას აბარია,“- დასძინა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ბაზალეთის სასოფლო ბიბლიოთეკას წლებია ერთგულად ემსახურება ბიბლიოთეკარი იზოლდა ჩიკვაიძე. როგორც ქალბატონი იზოლდა ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, ბაზალეთის სასოფლო ბიბლიოთეკა 1972 წლიდან ფუნქციონირებს და ამჟერად საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავს. იზოლდა ჩიკვაიძე ადგილობრივი ხელისუფლების გვერდში დგომაზე საუბრობს და ამბობს, რომ სწორედ მათი დამსახურებაა, დღეს რომ ბაზალეთის მოსახლეობას ბიბლიოთეკასთან წვდომა აქვს.

ღონისძიება საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. პატარებმა არაჩვეულებივი ოსტატობით წარმოადგინეს სხვადასხვა მწერლის შემოქმედებიდან ლექსები. შეასრულეს სიმღერები და დამსწრე საზოგადოებას თავიანთი ნიჭიერებით არაჩვეულებრივი გარემო შეუქმნეს.

დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა მადლობა გადაუხადა აქტიურ მკითხველებს და მათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

აქტიურ მკითხველებს შორის იყვნენ პედაგოგები: მაია ჭიპაშვილი და ნინო ლოლაძე, ღარიხევის დაწყებითი სკოლის მოსწავლე მარიამ ტაბატაძე და სოფელ ბაზალეთის მკვიდრი მარინა მესხი. ბაზალეთის სასოფლო ბიბლიოთეკისთვის გაწეული ღვაწლისათვის სიგელი და ფასიანი საჩუქარი გადაეცა ასევე ბიბლიოთეკარ იზოლდა ჩიკვაიძეს.

**ეკა შავიძე**

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დამატებით 7 ერთეული ტრაქტორი შემოვიდა



25 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შპს „ხარაგაული-2011“ (დირექტორი ოლეგი კაციტაძე) ინიციატივით ზესტაფონის შპს „მექანიზატორიდან“ დამატებით 7 ერთეული ტრაქტორი შემოვიდა. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში ჩართულ ბენეფიციარებს სახნავი ტრაქტორები კიცხისა და მოლითის ზონაზე მოემსახურებიან.

ოლეგი კაციტაძე: „ჩვენი შპს-ს ბაზაზე სულ 9 ტრაქტორი ირიცხება, მაგრამ ამჟამად მხოლოდ 5 მუშაობს. უამინდობის გამო საგაზაფხულო სამუშაოები რომ არ დაგვიანებულიყო, ტრაქტორები ამიტომ დავამატეთ ზესტაფონიდან. ისინი ორ ზონაზე გადანაწილდნენ და დღეიდან სახნავი ბარათის მქონე ყველა ბენეფიციარს მოემსახურებიან“.

## ბიუროს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მოისმინეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

პროექტებზე მიიმართოს.“ - აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, ვარლამ ჭიპაშვილს მიმართა შეეფასებინა მიმდინარე წლის დაგეგმილი ბიუჯეტი. „თქვენი კომისიის ძირითადი უფლებამოსილებაა ბიუჯეტის დაგეგმვასა და მის შესრულებაზე კონტროლი. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორად შევძელით ბიუჯეტის დაგეგმვა, არის თუ არა სწორად გადანაწილებული რესურსი და შესაძლებელია თუ არა დაგეგმილი ბიუჯეტის შესრულება?!“

ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა არსებულმა რესურსმა განაპირობა: „ვეცადეთ ბიუჯეტი მაქსიმალურად სწორად ყოფილიყო დაგეგმილი, ისე როგორც ამის საშუალება ბიუჯეტში არსებულმა თანხებმა მოგვცა. დაგეგმილი ბიუჯეტი რომ შესრულდეს ამისთვის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელმა ორგანომ ერთად უნდა ვიმუშაოთ. თუ ყველაფერი გეგმაზომიერად განხორციელდება ბიუჯეტი შესრულდება. ასევე უნდა ვიზრუნოთ დამატებითი რესურსის მოძიებაზე. ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირი შეხედულება ვერ გვექნება, შესაძლებელია ჩემთვის მისაღები იყოს, სხვისთვის არა. მაგრამ ამას, საბოლოოდ დეპუტატთა უმრავლესობა წყვეტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ვარლამ ჭიპაშვილის ინიციატივით მოხდა სოფლებში გასვლა და ბიუჯეტის პროექტის მოსახლეობისთვის გაცნობა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია. „მაინტერესებს რამდენად იყო მოსახლეობა ჩართული ბიუჯეტის პროექტის გაცნობისა და განხილვის პროცესში, იყო თუ არა მათი მხრიდან გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები და რამდენად იქნა მათი მოთხოვნები გათვალისწინებული.“- მიმართა ინგა მაღრაძემ კომისიის თავმჯდომარეს.

ვარლამ ჭიპაშვილი: „მოსახლეობის დასწრება არც ისე დიდი იყო, მაგრამ ვინც ესწრებოდა ბიუჯეტის განხილვის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული და თავიანთ მოსაზრებებს გამოხატავდნენ. მოსახლეობა ძირითადად ხიდ-ბოგირების და სანიაღვრე არხების მოწყობას ითხოვდა. იყო ინიციატივები შშმ პირებისთვის დღის ცენტრის მოწყობასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებისგან იყო მოთხოვნა დაბაში მდებარე ცენტრალურ პარკში ატრაქციონების მოწყობის თაობაზე. ბიუჯეტში აღნიშნული მოთხოვნების უმეტესი ნაწილის გათვალისწინება მოხდა. როგორც მოგეხსენებათ, ვერტყვიჭალაში შშმ პირებისათვის დღის ცენტრის მოწყობისთვის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შენიშვნების საფუძველზე, 23 ათასი ლარი გამოთავისუფლდა ბიუჯეტში.

წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით საკრებულო შეფასებას 3 მაისს გააკეთებს.

**მარიანა ბურჯალიანი**

## ხარაგაულის საბავშვო ბაღებში თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტებმა ლექცია-სემინარები ჩაატარეს



17-18 აპრილს ხარაგაულის N1 ბაგა-ბაღში თბილისის სასულიერო სემინარიის ქრისტიანული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტებმა შემეცნებითი ხასიათის ლექცია-სემინარები ჩაატარეს. „მომავლის გზა“ ასე ეწოდება პროექტს, რომლის ფარგლებშიც ლექცია-სემინარები ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ბაღის გამგეებს, პედაგოგებს და მშობლებს ჩაუტარდათ.

პროექტის მიზანი რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში ფსიქოლოგიური დახმარების კულტურის დანერგვაა.

პროექტის ხელმძღვანელის, გვანცა ბერაძის, თქმით, ხარაგაულში აქტიური დარბაზი დახვდათ და მათი სემინარები შედეგს აუცილებლად გამოიღებს. რა როლი აქვს ბაღს ბავშვის განვითარებაში; ძილი და ძილის პრობლემები; როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები და აღმზრდელები ჭირვეულ ბავშვთან - მომავალმა ფსიქოლოგებმა ამ თემების შესახებ ამომწურავად ისაუბრეს.

„ნამდვილად სასარგებლო შეხვედრა იყო. აქ მიღებული ინფორმაცია დამეხმარება ბევრი პრობლემის მოგვარებაში“, - აღნიშნა აღსაზრდელის მშობელმა, ნონა ნანიტაშვილმა.

პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა N1 ბაგა - ბაღის დირექტორმა, ნანა რევაზიშვილმა: „ეს პროექტი მნიშვნელოვანია, როგორც დამწყები, ასევე პრაქტიკოსი პედაგოგებისთვის. ყურადღება იყო გამახვილებული ინკლუზიურ ბავშვებზე, ასევე ბავშვის აგრესიული ქცევის მართვაზე, რაც აქტუალური და საინტერესოა, როგორც მშობლების, ასევე აღმზრდელებისთვის. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და პროდუქტიული დღე იყო ბაღებისთვის.“

პროექტი „მომავლის გზა“ პირველად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა. როგორც პროექტის ხელმძღვანელმა, გვანცა ბერაძემ, აღნიშნა, პროექტი გაგრძელდება და შემდეგი შეხვედრა ადგილზე შესწავლილი პრობლემების მიხედვით დაიგეგმება.

**მარიანა ბურჯალიანი**

## პროექტი „ვიცნობდეთ ხარაგაულს“ დასრულდა



პროექტი „ვიცნობდეთ ხარაგაულს“ დასრულდა. პროექტის ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს ვახანის, მოლითის , მარელისის, ხევის, კიცხის, ბორის სკოლა - პანსიონის საჯარო სკოლები და წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია შეხვდა. პროექტის გამარჯვებული 60 ქულით ბორის სკოლა - პანსიონი გახდა.

ჰამლეტ ბერაძე(ბორის სკოლა პანსიონის დირექტორი): ,, ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი პროექტია. ყველა შეჯიბრში გუნდი გამარჯვებისთვის იბრძვის და მოხარული ვარ, რომ ეს გამარჯვება წილად ჩემს ბავშვებს ხვდათ. დიდი მადლობა სკოლის პედაგოგს ქეთევან ღონღაძეს რომელმაც ბავშვები ფინალური ტურისთვის მოამზადა. მადლობა ღონისძიების ხელმძღვანელებს, როლებმაც პროექტით ,,ვიცნობდეთ ხარაგაულს“ ძალიან კარგ და ინოვაციურ კონკურსს დაუდეს საფუძველი.“

დავით ჩადუნელი: ,, მოსწავლეებმა მომზადების კარგი დონე აჩვენეს. ვფიქრობ მათ პროექტის დასრულების შემდეგ გაცილებით მეტი ეცოდინებათ თავიანთ მშობლიურ კუთხეზე გაცილებით მეტი ინფორმაცია ექნებათ ხარაგაულის ისტორიულ წარსულზე და გამოჩენილ ადამიანებზე. იმისათვის რომ თამაში უფრო საინტერესოდ წარმართულიყო გარდა ტესტური კითხვების გვქონდა ფოტო და ვიდეო შეკითხვებიც.“

გამგებლის პირველმა მოადგილემ პაატა გოგოლაძემ , ბორის სკოლა პანსიონის გამარჯვებულ გუნდს საჩუქრად წმინდა გიორგის ხატი და სიგელი გადასცა. ხატებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ ასევე ფინალში მონაწილე ყველა გუნდი.

პროექტის იდეის ავტორის მამუკა ჭიპაშვილის ინფორმაციით, გამარჯვებული გუნდი ზაფხულზე ზვარის კარვების ბანაკში დაისვენებს.

## პროექტი „თეატრი სკოლისათვის“ დაიწყო



პროექტი „თეატრი სკოლისათვის“ დაიწყო. პროექტის ფარგლებში ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორი ირინე ჩხეიძე (მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი) მუნიციპალიტეტის სკოლებში ლექციებს ჩაატარებს და მოსწავლეებს ხარაგაულის თეატრის ისტორიას გააცნობს. პირველი შეხვედრა 14 აპრილს დაბის N2 საჯარო სკოლაში გაიმართა.

ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორის, ირინე ჩხეიძის განმარტებით, ,,მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ მშობლიური კუთხის თეატრის ისტორია. სპეციალურად ამ პროექტისთვის გავაკეთეთ სპექტაკლის „დარისპანის გასაჭირის“ ვიდეო—ვერსია, რომელიც ყველა სკოლას გადავეცით. ასევე, ახალგაზრდებს ვთავაზობთ, მობრძანდნენ და ნახონ, როგორ მუშაობენ მსახიობები თოჯინების თეატრში თეჯირს მიღმა, როგორ ახმოვანებენ, იკეთებენ გრიმს და, საერთოდ, როგორია ცხოვრება კულისებში. ჩემთვის ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა და, ვფიქრობ, მათთვისაც საინტერესო ლექცია გამოვიდა.“

N2 საჯარო სკოლის მოსწავლე კესო შარიქაძე შეხვედრით კმაყოფილია და ამბობს, რომ ხარაგაულის თეატრის შესახებ ბევრი ახალი რამ გაიგო: "ვნახეთ არაჩვეულებრივი კადრები წლების წინ დადგმული სპექტაკლებიდან. ნამდვილად სასიამოვნო შეხვედრა გამოვიდა.

მსგავსი შეხვედრები მუნიციპალიტეტის სკოლებში ეტაპობრივად გაიმართება.

**მარიანა ბურჯალიანი**

## ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში მწერალ ფრიდონ მაღრაძესთან შეხვედრა მოეწყო



18 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის (დირექტორი ნინო დიდიძე) ორგანიზებით, მწერალ ფრიდონ მაღრაძესთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის მოეწყო, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები: მარინა ვეფხვაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დავით კიკნაძე, ა(ა) იპ რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორი იზა ვეფხვაძე და მწერალი ჯემსი ვეფხვაძე ესწრებოდნენ.

შეხვედრა ძალიან ამაღელვებელი და შთამბეჭდავი იყო. მკითხველების ინტერესის გათვალისწინებით ბატონი ფრიდონის ცხოვრებისა და ნაწარმოებების შესახებ ისაუბრა ისტორიული მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა ნინო დიდიძემ.

შეხვედრაზე ჯემსი ვეფხვაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ფრიდონ მაღრაძის ლექსების მნიშვნელობას ბავშვთა განვითარებისათის, რათა ისინი ინტერესით დაეუფლონ მშობლიურ ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ა(ა) იპ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელის, იზა ვეფხვაძის, თქმით, ფრიდონ მაღრაძე, ჩვენი დიდებული წინაპრების სახელოვანი გზის გამგრძელებელია. „საქართველოშ ბევრი როდი წერს საბავშვო ლექსებსა და ზღაპრებს. რაოდენ სასიხარულოა, რომ ბატონმა ფრიდონმა, როგორც მწერალმა, თავისი შემოქმედება ჩვენი ცხოვრების ყვავილებს მიუძღვნა. ამავე დროს ის არის ქველმოქმედი. ხარაგაულში ლიტერატურული კონკურსის, მხატვართა პლენერისა თუ სხვა კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებაში ბატონ ფრიდონს უშურველად შეაქვს თავისი წვლილი“ - განმარტა იზა ვეფხვაძემ.

მოსწავლეებმა ფრიდონ მაღრაძის შემოქმედებიდან ლექსები წაიკითხეს და მწერალს მათთვის საიტერესო კითხვები დაუსვეს.

შეხვედრის დასასრულს ფრიდონ მაღრაძემ ბავშვები საკუთარი წიგნებით დაასაჩუქრა.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რამდენიმე პირს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსი მიენიჭათ

სოფელ გოლათუბანში მცხოვრებ დალი გელბახიანს, დავით და სპარტაკ ღამბაშიძეებს, სოფელ ფონაში მცხოვრებ ომარ და ნათელა ნოზაძეებს, გულნაზი და მილერ ჯამბაზიშვილებს მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭათ. ამის შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის “მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს” რიგით N2 სხდომაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება. მაღალმთიან სოფელში მცხოვრები პირის სტატუსის მისაღებად მოქალაქემ ხარაგაულის მუნიცპალიტეტის გამგეობაში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ კომისია ორი თვის განმავლობაში შეისწავლის საკითხს და ამის შემდეგ შესაბამის რეკომენდაციას გამგებელს წარუდგენს. საბოლოოდ სტატუსს ფიზიკურ პირს მუნიციპალიტეტის გამგებელი ანიჭებს. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსის მინიჭების მიზნით, ფიზიკურმა პირმა გამგებელს შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს. განცხადებას თან უნდა დაერთოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. მაღალმთიან დასახლებაში კალენდარული წლის განმავლობაში 9 თვის ან მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების და ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ხარაგაულის „მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს” თავმჯდომარე კოორდინაციის განყოფილების უფროსი გრიგოლ ჭიპაშვილი გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში 6 სოფელი შედის: გოლისი, გოლათუბანი, გუდათუბანი, ფონა, ნუნისი და პატარა სახვლარი.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი უახლოეს მომავალში შესაძლოა ასევე მიიღოს წიფამ, ზვარემ, ჩრდილმა და ნადაბურმა.

ამ საკითხზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ.

**ეკა შავიძე**

# ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები მუნიციპალიტეტის გამგებელს კობა ლურსმანაშვილს შეხვდნენ



ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეები ახალი გაზეთის გამოცემისთვის ემზადებიან. იდეა ახალგაზრდებს სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, მიაწოდა. გაზეთი ერთჯერადი სახის იქნება.

ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე ანა ბერაძე: - „ჩვენი პედაგოგის, ვარლამ ჭიპაშვილის, სურვილი იყო, ახალგაზრდებს გაზეთი გაგვეკეთებინა. ეს იდეა ჩვენც ძალიან მოგვეწონა და გადავწყვიტეთ გამოვუშვათ ახალგაზრდული გაზეთი „მომავალი“, რომელშიც მოცემული იქნება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან ჩაწერილი ინტერვიუები და ახალგზრდებისთვის სასარგებლო და საინტერესო მასალები. დღეს ჩავწერეთ პირველი ინტერვიუ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ძალიან ვღელავდით, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.“

კობა ლურსმანაშვილმა ახალგაზრდების შეკითხვებს უპასუხა და მათ აქტიური და მრავალფეროვანი ცხოვრება უსურვა: „ჩვენ ძალიან გვიხარია, როცა თქვენს წარმატებებს ვხედავთ ჩვენი თხოვნაა, იყოთ უფრო მეტად აქტიურები. ვფიქრობ, რომ განვითარებისათვის ძალიან კარგი გარემოა თქვენს სკოლაში. ისარგებლეთ ხარაგაულის ინოვაციების ცენტრით, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. ჩვენ კი ვეცდებით, რომ თქვენი განვითარებისთვის და წინსვლისთვის, კიდევ ბევრი გზა გამოვნახოთ ხარაგაულში.“

# ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის გუნდმა გაიმარჯვა



23 აპრილს საქართველოს მასშტაბით პროექტი „ინტელექტის დღე“ დაიწყო. პროექტს ორგანიზებას უწევენ საქართველოს კულტურისა და განათლების სამინისტროები. „ინტელექტის დღე“ საქართველოში წლებია, მიმდინარეობს. ამ დღეს ერთდროულად 72 მუნიციპალიტეტში 13 საათზე პროექტის ფარგლებში ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ გაიმართა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კონკურსი N2 საჯარო სკოლაში ჩატარდა და მასში 17 საჯარო სკოლა მონაწილეობდა. ნაკრები გუნდები მაღალი კლასის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. შეჯიბრი ორ ტურად გაიმართა, თოთოეულში 12-12 შეკითხვა იყო. დაძაბული თამაშის შემდეგ 13 ქულით ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის გუნდმა გაიმარჯვა.

ხარაგაულში „ინტელექტის დღის“ ფარგლებში გამართულ შეჯიბრს ორგანიზება საგანმანათლებლო რესურსცენტრმა და გამგეობის კულტურის სამსახურმა გაუწიეს.

ინტელექტუალურ ჩემპიონატს „რა? სად? როდის?“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, დავით კიკნაძის განმარტებით, ორი სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული პროექტი „ინტელექტის დღე“ კარგი წამოწყებაა. „ინტელექტუალური, ზოგადი ხასიათის კითხვები მოსწავლეთა გონებრივი პოტენციალის დონეს საკმაოდ აამაღლებს. წინა წლებთან შედარებით კითხვები საინტერესოდ იყო შედგენილი. ერთპიროვნულად გაიმარჯვა ხარაგაულის გიმნაზიის გუნდმა. მათ წარმატებებს ვუსურვებ დასკვნით ეტაპზე, ესახელებინოთ ხარაგაული,“- აღნიშნა დავით კიკნაძემ.

გამარჯვებული გუნდები თბილისში 16 მაისს „ჰუალინგი თბილისის ზღვის ახალ ქალაქში“ შეხვდებიან ერთმანეთს. ფინალურ შეხვედრაზე 72 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

**თეა ბერიძე**

**მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში**

# პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვის პროექტი ხარაგაულში

20 აპრილს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროექტის ფარგლებში ვერტყვიჭალის, ბორითის, მარელისის და დაბის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეები ხარაგაულის კინოთეატრს, სახანძრო - სამაშველო სამსახურს, პოლიციასა და ისტორიულ მუზეუმს სტუმრობდნენ.

კინოთეატრში რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ მოსწავლეებისთვის ხარაგაულის თეატრის წარსულსა და დღევანდელობაზე მცირე ისტორიული ექსკურსი გააკეთა და ბავშვებს ძველი სპექტაკლებიდან კადრები უჩვენა. პარალელურად, ახალგაზრდებმა პასუხები მიიღეს კითხვებზე, რომლებიც ხარაგაულის თეატრის საქმიანობას ეხებოდა. მსგავსი ხასიათისა იყო შეხვედრა სახანძრო სამაშველო სამსახურში, პოლიციასა და ისტორიულ მუზეუმში. მოსწავლეები გაეცნენ მიმდინარე სამუშაო პროცესს, მათ ასევე მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროექტი 2013 წლიდან დაიწყო. ხარაგაულიდან ამ პროგრამაში ათი სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეები არიან ჩართული. მოსწავლეებს უტარდებათ სესიები, რომლითაც მათ აქვთ შესაძლებლობა, უფრო მეტი გაიგონ სხვადასხვა პროფესიაზე. პროექტი მოსწავლეებს თვითგამორკვევასა და პროფესიის არჩევაში ეხმარება.

მოსწავლეები წინასწარ ავსებენ ანკეტებს, რომლითაც უთითებენ, რომელი პროფესიის ადამიანებთან შეხვედრა ან რომელი ორგანიზაციის დათვალიერება სურთ.

აღნიშნულ პროექტს მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო ახორციელებს.

N3 საჯარო სკოლის პედაგოგი თამარ მაქაძე: „უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში მიმდინარეობს პროგრამა „უწყვეტი განათლების სისტემა“, რომლის ფარგლებშიც სკოლებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის შემსწავლელი სესიები იმართება. უკვე მეორე წელია რაც, ტრენინგები გავიარე და აღნიშნულ პროგრამაში ჩავერთე. დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეებს სესია თვეში ერთხელ უტარდებათ. მათ ეს კარიერის არჩევასა და მომავალი ცხოვრების დაგეგმვაში ეხმარება.“

N3 საჯარო სკოლის მოსწავლე ვახტანგ ჩუბინიძე: „ერთი თვეა, რაც ჩვენს სკოლაში დაიწყო ლექცია-სემინარები, სადაც გავდივართ კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. ვფიქრობ, ეს პროგრამა ჩვენი სამომავლო გეგმების განხორციელებაში გარკვეულწილად დაგვეხმარება.“

**მარიანა ბურჯალიანი**

# მოიძიეთ, წაიკითხეთ, წიგნი გამორჩეული!

საინტერესო წიგნი მიიღო ქართველმა მკითხველმა - „იზა ვეფხვაძე - დიდ წინაპართა გამცოცხლებელი“, წიგნი ნიჭიერ შემოქმედზე, რომელსაც დღეს მთელი საქართველო იცნობს, რომელსაც ერთნაირი აღტაცებით ეგებება მშობლიური ხარაგაულის, ქვეყნის ყველა რეგიონის, ქალაქების, დედაქალაქის ახალგაზრდა თუ ხანდაზმული მსმენელი და მაყურებელი.

ეცნობი ნაშრომს და, აღფრთოვანებასთან ერთად, გიჩნდება კითხვა, ვინ არის ამ წიგნის ავტორი? ავტორი იზას სკოლის პედაგოგია, მისი სიტყვიერების პედაგოგი, მისი დამრიგებელი მეხუთე კლასიდან სკოლის დამთავრებამდე. ის თავიდანვე ინტერესით ადევნებდა თვალს ამ ნიჭიერი, ცოდნისმძებნელი მოსწავლის ზრდა-განვითარებას, მის მშობლებთან ერთად ხარობდა და დღესაც ხარობს მისი წარმატებებით. როგორც იზა ამბობს, იგი მისთვის მშობელი დედასავითაა. მან ხომ ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულთან ერთად, ის სიყვარული უწილადა თავის მოსწავლეს, რომელიც სიყვარულითა და მადლიერებით დაუბრუნდა ძვირფას მასწავლებელს.

გამიგონია, როგორ არ გამიგონია წიგნი (და არაერთი) აღმზრდელსა და პედაგოგზე, მოგონებები სკოლასა და მასწავლებლებზე, მაგრამ არ შემხვედრია პედაგოგის მიერ მოსწავლეზე შექმნილი წიგნი, მერე რა წიგნი! ის კი გამიგონია, წიგნი ავტორს ჰგავსო და ეს მართლაც ასეა.

წიგნი გამართული ლიტერატურული ენითაა დაწერილი, საინტერესო არქიტექტონიკით და დიდი სიყვარულით პროფესიონალიზმთან ერთად.

იზა ვეფხვაძე -ქართული კდემით, ღირსეული ქცევით, იმერული ზრდილობით სრულად შემკული ქალბატონი, დღეს უკვე პატარა შვილიშვილის, ანას ახალგაზრდა ბებია, დარბაისელი დედა და მშობელ დედ-მამაზე მზრუნველი, სამაგალითო შვილი გახლავთ, უპირველესად.

იზა ვეფხვაძე ჭეშმარიტი ხელოვანია: ქართული სიტყვის ოსტატი, მშვენიერი მწერალი (12 წიგნის ავტორი), შესანიშნავი სცენარისტი, 60-ზე მეტი საავტორო სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, მსახიობი და წამყვანი;

იზა ვეფხვაძე ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწეა - არაერთი საზოგადოებრივი გაერთიანების, ქალთა არაერთი ორგანიზაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს ქალთა მოძრაობის „ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ და საქართველოს ქალთა საბჭოს წარმომადგენელი ხარაგაულის რაიონში, რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე,




საქვეყნოდ გახმაურებული ათობით პროექტის ავტორი და განმახორციელებელი.

ზემოთ ხსენებული წიგნის მკითხველი ახლოს გაიცნობს ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის დირექტორს და სამხატვრო ხელმძღვანელს იზა ვეფხვაძეს, ბევრ საინტერესოს გაიგებს თეატრზე, რომელმაც შემოქმედებისა და გამარჯვებების ურთულეს გზებზე იარა და რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული გაერთიანება მალე აქცია სახალხო თეატრად, საქართველოში ერთადერთ ლიტერატურულ თეატრად, რომელსაც მთელი საქართველო იცნობს და პატივს მიაგებს.

ქალბატონ იზას თავდავიწყებით უყვარს ხარაგაული და ხარაგაულელები, მისი ღირსეული შვილები, საქართველოსათვის თავდადებული მამულიშვილები; მათზე, მათს საარაკო საქმეებზე წერს, ეფერება თითოეულის „ადგილის დედას“, მათ ღვაწლსა და მემკვიდრეობას. ამიტომ წერენ მასზე და მის სპექტაკლებზე ცნობილი ადამიანები, სპეციალისტები, მაღალ შეფასებას აძლევენ მის ნაღვაწს; ამიტომ ხვდებიან და აცილებენ მას ოვაციებით, სიხარულით უღებენ კარს დედაქალაქისა და სხვადასხვა ქალაქის დიდსა თუ მცირე დარბაზებში, მაღალმთიან სოფლებსა და დასახლებებში, შირაქის შოროეულ საძოვრებზე...

ყველა ეს და მრავალი სხვა გამოწვლილვით არის ნათქვამი წიგნში, რომლის წასაკითხადაც გეპატიჟებით, ძვირფასო მკითხველებო!

ქედს ვიხრი ქალბატონი მერის წინაშე, მან იზა ვეფხვაძის არაერთ თაყვანისმცემელს დიდი სიხარული აჩუქა, ასეთები კი ათასობითაა მთელ საქართველოში. რამდენჯერ მიამაყნია და სიხარულის ცრემლი მომდგომია, როცა ხალხით გადაჭედილი დარბაზი ოვაციებს ვერ მალავდა და სიტყვებს ვერ პოულობდა იზას საქმიანობის შესაფასებლად. ეს გრძნობა ალბათ არაერთხელ განუცდია ჭეშმარიტ აღმზრდელს - ქალბატონ მერი გიორგიძეს. იზა ვეფხვაძეზე მან მომავალი თაობებისათვის შექმნა წიგნი, რომელიც დასტურია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქართველი მოღვაწე ქალი, როგორ უნდა ემსახუროს თავის მამულს და როგორი უნდა იყოს აღმზრდელისა და მოსწავლის დამოკიდებულება. ეს კი უნიკალური გახლავთ ყველა განზომილებით. დიდ მადლობას ვუხდი, აგრეთვე, ამ შესანიშნავი წიგნის რედაქტორს - ცნობილ პოეტსა და ქალბატონს, ლინა ბარათაშვილს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შეაშველა ამ საშვილიშვილო საქმეს.

ხარაგაულს და ხარაგაულელებს კი განსაკუთრებით ვულოცავ ამ წიგნის გამოცემას, რადგან იზა ვეფხვაძე ხარაგაულის კუთვნილებაა, ის ხარაგაულიდან უდგას დარაჯად თავისი ქვეყნის უკეთეს ხვალინდელ დღეს. წარმომიდგენია, როგორ ამაყობენ და ხარობენ ხარაგაულელები ამ მეტად საჭირო წიგნის გამოცემით და როგორ მადლობენ ქალბატონ მერი გიორგიძეს. მეც დიდი აღფრთოვანებით ვუერთდები ამ მადლიერებას.

**ცისანა ქოჩეჩაშვილი,**
**ფოლკლორისტი,**
**ლიტერატურული სალონი**
**„საგულისონის“**
**ხელმძღვანელი**

# ბორითის კულტურის ცენტრში „დედაენის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა



მსოფლიოში სამი ათასზე მეტი ენაა, დამწერლობა კი მხოლოდ თოთხმეტი, ამათგან ერთ — ერთი ქართულია, რომელიც უძველესი სამწერლობო ენაა. ამ ენაზე შორეულ წარსულში შეიქმნა და დღემდე შემოინახა ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული, ფილოსოფიური და მეცნიერული ლიტერატურა ხელნაწერების სახით. ქართული ენა უნერგავს და უღვიძებს რწმენას ქართველ კაცს, ამ ენაზე ლოცულობს იგი, ესაუბრება თვისტომს, მტერსა თუ მოყვარეს, ქართული ენით გადმოგვცემს თავის გულისნადებს, სიყვარულსაც და სიხარულსაც, კარგსაც და ავსაც. ქართული ენა მთელი სიცოცხლეა, არსებობაა. მაგრამ ენა, რაც უნდა ლამაზი და მდიდარი იყოს, პატრონი თუ არ ეყოლა, შეიძლება მოკვდეს და გაქრეს. ქართულ ენას მოსპობა და გადაგვარება ელოდა. ზუსტად 38 წლის წინ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსი ჩამოერთმია და მთავარ ენად რუსული გამოეცხადებინა.შესაბამისი კანონი კონსტიტუციაში სწორედ 14 აპრილს უნდა შესულიყო, თუმცა მასობრივმა საპროტესტო აქციამ, რომლის ორგანიზატორები ძირითადად სტუდენტები იყვნენ, მოსკოვი აიძულა, უკან დაეხია და სახელმწიფო ენად ისევ ქართული დაეტოვებინა.1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან 14 აპრილი ,,დედაენის დღედ” დაწესდა.

დედაენის დღესთან დაკავშირებით ბორითის კულტურის ცენტრში ბორითის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, მანანა გამცემლიძის, ინიციატივით, ბორითის მაჟორიტარი დეპუტატის მანანა ბარბაქაძისა და ამავე თემში გამგებლის წარმომადგენლის, ვლადიმერ ბარბაქაძის, მხარდაჭერით დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. ღონისძიებაში ჩართული იყვნენ, როგორც საშუალო ისე მაღალი კლასის მოსწავლეები. დამსწრე საზოგადოების წინაშე ბავშვებმა ქართველი პოეტების ლექსები წარმოადგინეს და ქართული ენის ღირებულებასა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საღამოზე ასევე წარმოდგენილი იყო უმშვენიერესი ქორეოგრაფიული ნომრები და საოცარი სინაზით აჟღერებული ქართული მელოდიები.

ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექტორმა, სერგო ლაბაძემ, მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს ქალბატონ მანანა გამცემლიძეს და დასძინა, რომ 14 აპრილი არის დღე, როდესაც საქართველოს მოსახლეობის გამორჩეულმა ნაწილმა (მათ შორის არაქართველებმაც) დაიცვეს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი- „მისასალმებელია, რომ ამ მნიშვნელოვან თარიღს ასე მონდომებით და ასე სათუთად ეკიდება ჩვენი მომავალი თაობა. ქართულ ენას დიდი ძალა აქვს და სწორედ ამ ძალის გამოხატულებაა დღევანდელი ღონისძიება.“

მანანა გამცემლიძის თქმით, ამ ღონისძიების მიზანი ისაა, რომ ქართველ ერში არ ჩაკვდეს ქართული სული. მოსწავლე-ახალგაზრდობაში მოდიოდეს ქართულობა, ქართველმა ვაჟკაცმა იგრძნოს, რა არის ქართველობა და არ დაგვავიწყდეს ვისი გვარისა ვართ.

**ეკა შავიძე**

# ინოვაციების ცენტრმა პროექტს „წიგნი სიყვარულია" უმასპინძლა



21 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინოვაციების ცენტრს პროექტის „წიგნი სიყვარულია" ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „აკმეს" წარმომადგენლები ესტუმრნენ. შეხვედრას პროექტის მეგობარი ბორის სკოლა-პანსიონის, კიცხის და ხიდრის საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე მოწვეული სტუმარი ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორი, ირინე ჩხეიძე გახლდათ. შეხვედრაზე მწერალ გიორგი ლეონიძის მოთხრობები: „მარიტა" და ნატვრის ხე" წაიკითხეს. გაიმართა დისკუსია და ბავშვებმა აღნიშნულ მოთხრობებში არსებულ სოციალურ პრობლემებზე იმსჯელეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „აკმე" პროექტს „წიგნი სიყვარულია" უკვე ორი წელია, ახორციელებს. პროექტში ჩართვა საქართველოს ნებისმიერ საჯარო სკოლას შეუძლია. „წიგნი სიყვარულია" მოსწავლეებში წიგნისადმი ინტერესის გაზრდას, მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

პროექტის ხელმძღვანელის, ქუთაისის N15 საჯარო სკოლის პედაგოგის, ნათია კალანდაძის, განცხადებით: „აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს სკოლებს შორის კომუნიკაციას, ხოლო მოსწავლეებში იმ უნარ—ჩვევების ჩამოყალიბებას, რომელიც აუცილებელია მთელი ცხოვრების მანძილზე საკუთარი ძალების რეალიზებისათვის. ბავშვები იცნობენ ერთმანეთს და უყალიბდებათ მეგობრული დამოკიდებულებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობთ, პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები რეალურად იძლევა შედეგს, რასაც მასში ჩართული მონაწილეების მუშაობა და ბენეფიციართა რაოდენობა ადასტურებს."

პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს ხიდრის საჯარო სკოლის პედაგოგი, პროექტის ერთ-ერთი კოორდინატორი, ლელა ბერაძე: „სკოლაში შემდგარია ჯგუფი, რომელიც ჩართულია ამ პროექტში. ისინი ინტენსიურად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ახალ წაკითხულ წიგნს და დროს ერთად ინტერესიანად ატარებენ. მშობლები და მასწავლებლები კმაყოფილები არიან პროექტით და ბავშვების წიგნის მიმართ ასეთი დამოკიდებულებით."

ლონდა მდინარაძე (კიცხის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე): „ძალიან დიდი მნიშვნელობა შეიძინა ჩემს ცხოვრებაში ამ პროექტმა. იგი ერთგვარი მოტივაცია გახდა. ბავშვები ერთად ვკითხულობთ წიგნს, შემდგომ ერთად განვიხილავთ და ვმსჯელობთ. ვეცნობით ინფორმაციას მწერლის ცხოვრების შესახებ. ეს ნამდვილად საინტერესო პროცესია."

**მარიანა ბურჯალიანი**

# საბიბლიოთეკო კვირეულს ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკა შეუერთდა

16 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით საქართველოში საბიბლიოთეკო კვირეული მიმდინარეობს. კვირეულში ხარაგაულის მუნიციპალიტეტიც ჩაერთო. საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა. 19 აპრილს კვირეულის ფარგლებში ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში რევაზ ინანიშვილის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში დაბის N2, N3 საჯარო სკოლებისა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. როგორც საბავშვო ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი, სოფო ლაცაბიძე, ამბობს, ღონისძიებაში მონაწილე ბავშვები ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან.

მათ ამჯერად გამოავლინეს ის დიდი სიყვარული, რითაც ასე იზიდავს მწერლის არაჩვეულებრივი სამყარო, თხზულებების მათი თანატოლი პერსონაჟები.

ღონისძიების დასასრულს პატარებს, როგორც საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველებს, სამახსოვრო სიგელები გადაეცათ. ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის, ნიკოლოზ მაჭავარიანის, ინფორმაციით, ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებისათვის ზუგდიდში, დადიანების სახლ-მუზეუმში, ცენტრალური ბიბლიოთეკის დაფინანსებით ექსკურსია მოეწყო.

# „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნე ხარაგაულელი სალომე ზვიადაძე

23 აპრილს ინოვაციების ცენტში, სახელწოდებით „შოთა რუსთაველი — 850", საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. შეხვედრას ცენტრალური ბიბლიოთეკის მოწვევით „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნე, ხარაგაულელი ქალბატონი სალომე ზვიადაძე ესწრებოდა. შეხვედრაზე პედაგოგები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ,.

ღონისძიებაზე ქალბატონმა სალომე ზვიადაძემ შოთა რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებზე ისაუბრა.

„ძალიან მიხარია, რომ დღეს ხარაგაულში ვარ. მახსოვს, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით გვითხრეს, რომ გვესწავლა ზეპირად თინათინის გამეფება. „ვეფხისტყაოსნის" სწავლის პროცესი ძალიან მომეწონა და თავიდან ბოლომდე „შემომესწავლა" , — აღნიშნა ქალბატონმა სალომე ზვიადაძემ ჩვენთან საუბარისას.



ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, ნიკოლოზ მაჭავარიანი: „საბიბლიოთეკო კვირეულს ხარაგაულიც შეუერთდა. ღონისძიებები საბიბლიოთეკო განყოფილებებში მთელი კვირის განმავლობაში იმართებოდა. დასკვნით საღამოზე ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ჩვენი რაიონის მკვიდრი, „ვეფხვისტყაოსნის" ზეპირად მცოდნე, ქალბატონი სალომე ზვიადაძე მოვიწვიეთ. საინტერესო შეხვედრა გამოვიდა. საბიბლიოთეკო კვირეულმა საინტერესოდ ჩაიარა."

# საბერძნეთის თავისუფალი სტილით ჭიდაობის ჩემპიონატში ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ გაიმარჯვა

ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ საბერძნეთის ქალაქ სალონიკში ბერძნული ოლიმპიური ჩემპიონის თავისუფალ



ჭიდაობაში, გიორგუს პოზიტიზის, სახელობის ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. ზაურ ბერაძე ჩემპიონატში 84კგ. წონით კატეგორიაში მონაწილეობდა. იგი ჭიდაობის თავისუფალ სტილში (მწვრთნელი კახა დობორჯგინიძე) 9 წელია, ასპარეზობს. ზაურ ბერაძეს სხვადასხვა ტურნირში არაერთი წარმატება აქვს მიღებული. აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი (დირექტორი დავით გელაშვილი) წარმატებულ სამ სპორტსმენს, ზაურ ბერაძეს, თედო ებანოიძესა და ლაშა გიგაშვილს გასულ წელს ყოველთვიურად 500 ლარს უხდიდა.

„დიდი სიხარული იყო ჩემთვის ტურნირში მონაწილება და გამარჯვება. შეჯიბრი მაღალ დონეზე ჩატარდა. გამარჯვებამ რწმენა შემმატა და ვარჯიშს მეტი შემართებით ვაგრძელებ. ჩემი მიზანი ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაა. 27 აპრილს მივემგზავრები ბაქოში, სადაც მონაწილეობას მივიღებ ტურნირში „ბაქოს გრან-პრი." ვიმედოვნებ, იქაც წარმატებით ვიასპარეზებ," - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზაურ ბერაძემ.

**თამარ მაღრაძე**

# „ჩხერიმელამ" ოზურგეთის „მერცხალი" 4:0 დაამარცხა

20 აპრილს ხარაგაულში, სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელობის სტადიონზე, ხარაგაულის საფეხბურთო გუნდმა ,,ჩხერიმელამ" ოზურგეთის ,,მერცხალთან" მორიგი კალენდარული მატჩი გამართა. თამაში ხარაგაულელთა სრული უპირატესობით წარიმართა და ,, ჩხერიმელას" დამაჯერებლი გამარჯვებით 4:0 დასრულდა. თამაშის მიმდინარეობისას გოლები გაიტანეს: გიორგი ცაგარეიშვილმა, ოლეგ კურტანიძემ , კოკა ნიკუჩაძემ და ჯემალ გაბუნიამ. ამ გამარჯვებით ხარაგაულის საფეხბურთო კლუბმა სატურნირო ცხრილში პირველ ლიგაში პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა.



# ინფორმაცია უგზო-უკვლოდ დაკარგული ცხრა ხარაგაულელი ჯარისკაცის შესახებ

მეორე მსოფლიო ომში ხარაგაულიდან 5 706 კაცი იქნა გაწვეული, აქედან 2 704 მეომარი უკან ვეღარ დაბრუნდა. მათგან ძალიან ბევრი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ევროპაშიც და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე, იქ, სადაც მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები ეძებენ და პოულობენ სამარხებს , მოიძიებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას, რომელიც მათ გარდაცვლილთა ოჯახების პოვნაში დაეხმარება.

ქართველი ზაზა მილაძე 2015 წლის იანვრიდან ეხმარება ჰოლანდიაში მოქმედ ფონდ ,,საბჭოთა დიდების ველის" წარმომადგენლებს საქართველოს იმ მოქალაქეთა ოჯახების მოძიებაში, რომელთა წევრები დაიღუპნენ ფაშისტთა ტყვეობაში და ჰოლანდიაში არიან დასაფლავებული.

ზაზა მილაძემ ახლახან მოგვაწოდა ინფორმაცია რამდენიმე ჯარისკაცზე, რომლებიც დიდ სამამულო ომში ხარაგაულის რაიონიდან წავიდნენ, ოჯახებს ვერ დაუბრუნდნენ და უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებიან. ბატონი ზაზა ეძებს მათი ოჯახების წევრებს, ნათესავებს, რათა მიაწოდოს ინფორმაცია, როდის დაიღუპა და სად არის დასაფლავებული მათი წინაპარი.

ესენი არიან:

პაქსაშვილი დავითი იორამის ძე. დაბ. 1901 წ. — სოფ. საქასრია.

(მეუღლე პელაგია პაქსაშვილი)

ჭიპაშვილი გიორგი ალექსიძე. 1905. .სოფ. ბაზალეთი. (მეუღლე ნადეჟდა)

ბუაჩიძე გრიგოლ ბეგლარის ძე 1917 წ. სოფ. ახალსოფელი

ვეფხვაძე პეტრე გალაქტიონის ძე 1922 წ. სოფ. თეთრაწყარო.

ვეფხვაძე შალვა შალვას ძე 1916 წ. სოფ. თეთრაწყარო.

არაბიძე გრიგოლ სამსონის ძე. 1912 წ. ხარაგაული.

არევაძე იაშა ლუკას ძე. 1919 წ. სოფ. ვახანი —სერბაისი.

გორგაძე პორფილე ბესარიონის ძე. 1900 წ. სოფ. ბორითი.



გოგოლიძე ემელიან ალექსანდრეს ძე. 1918 წ. სოფ. ვარძია

გიორგი გელაშვილი სარდიონის ძე. დაბ. 1912 წ. სოფ. ნადაბური

ზაზა მილაძე: ,,არ მაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოში სამთავრობო სტრუქტურებში, მით უმეტეს, არასამთვრობოთა შორის, ვინმე ასეთი სახის ინფორმაციის მოძიებით იყოს დაკავებული. ჩვენთან მხოლოდ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების მოძიება ხდება.

ამ ძიების დროს საშუალება მომეცა, გავცნობოდი გერმანიის, რუმინეთის, ფინეთის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებულ საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულ ტყვეთა სიებს. გადავწყვიტე, მომეძია, მომეხდინა იდენტიფიცირება და აღმერიცხა საქართველოდან დიდ სამამულო ომში გაწვეული და ტყვედ ჩავარდნილი ის მებრძოლები, რომელთა ტყვეობაში გარდაცვალებაც დოკუმენტალურად დასტურდება. ეს ადამიანები ქვეყნისათვის და ოჯახებისათვის უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან. ვთვლი, რომ ოჯახმა, მათმა შთამომავლებმა, უნდა იცოდნენ, სად, როდის დაიღუპა მათი წინაპარი და სად არის მისი სამარხი. ამ ადამიანებს შორის არიან მებრძოლები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში ხარაგაულიდან გაიწვიეს."

ზაზა მილაძეს დღეისათვის მოძიებული ჰყავს ნადაბურელი ტარასი გიორგის ძე გელაშვილის, მოლითელი ვიქტორ მიხეილის ძე უჩიძის და ლელვნელი ალექსანდრე ილიას ძე შარიქაძის შთამომავლები. ზაზა მილაძე გულისხმიერებისა და თანადგომისათვის მადლობას უხდის გამგებლის წარმომადგენელს ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში-ზურაბ შუბითიძეს და გამგებლის წარმომადგენელს მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში - სპარტაკ ლაცაბიძეს.

ვისთვისაც ნაცნობია ეს სახელები და გვარები, გთხოვთ, გამოიჩინეთ გულისხმიერება, მიაწოდეთ ინფორმაცია ოჯახს და დაგვიკავშირდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ტელ: 22- 16 -17, ან დაუკავშირდით გამგებლის მრჩეველს გენდერული თანასწორობის საკითხებში ინგა ბერაძეს ტელ: 599 44 20 57.

# იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწემ, ნანა ბერაძემ, „შაქრიან დიაბეტზე" ლექცია-სემინარი გამართა

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი(დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივას უერთდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით, 2016 წელს ჯანმრთელობის დღე — 7 აპრილი — დიაბეტს ეძღვნება. 12 აპრილს კულტურის ცენტრში იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწემ, ნანა ბერაძემ, ლექცია-სემინარი გამართა - თემაზე „შაქრიანი დიაბეტი". მოსახლეობას დაწვრილებით მიეწოდა ინფორმაცია ამ დაავადების შესახებ.

შაქრიანი დიაბეტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა მსოფლიოში და სწრაფად იზრდება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, დღესდღეობით მსოფლიოში 120 მილიონამდე დიაბეტიანია, ხოლო 2025 წლისთვის მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.მატების ასეთივე ტენდენციაა საქართველოშიც.

შაქრიანი დიაბეტი არის დაავადება, რომლის დროსაც სისხლში მომატებულია შაქარი ანუ გლუკოზა. ზოგადად, შაქრიანი დიაბეტი ეს არის ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანის ორგანიზმს არ შეუძლია ნორმალურად შაქრის ანუ გლუკოზის შეთვისება, რის გამოც შაქრის დონე იზრდება.

არსებობს შაქრიანი დიაბეტის ორი ტიპი. ორსულთა ანუ გესტაციური და უშაქრო დიაბეტი. უშაქრო დიაბეტი ასევე, ენდოკრინული დაავადებაა.

დიაბეტი განკურნებადია! დიაბეტი კონტროლირებადია! დიაბეტის გართულებების პრევენცია შესაძლებელია! დროული დიაგნოსტირება, პაციენტებისთვის საკუთარი თავის მოვლის სწავლება და ეფექტური მკურნალობის ხელმისაწვდომობა პრობლემის მოგვარების აუცილებელი კომპონენტებია.

„შაქრიანი დიაბეტი არ არის დაავადება, შაქრიანი დიაბეტი ცხოვრების განსაკუთრებული წესია!"

მსგავსი ტიპის ლექცია-სემინარი გამართა 20 აპრილს ხარაგაულის N3 საჯარო სკოლაში. როგორც ჩვენთან საუბარში ნანა ბერაძემ განმარტა, შაქრიანი დიაბეტის შესახებ ლექცია-სემინარი მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში ეტაპობრივად ჩატარდება.

მზია კვინიკაძე ( ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის პედაგოგი): ძალიან საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია მივიღეთ იმ დღეს ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის თანამშრომელმა, იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწემ, ნანა ბერაძემ, ძალზე საინტერესოდ ისაუბრა იმ აუცილებელ პროფილაქტიკაზე, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ დავამარცხოთ ეს ვერაგი დაავადება. უნდა დავიცვათ ცხოვრების ჯანსაღი წესი და დიდი ყურადღება დავუთმოთ ჯანსაღ კვებას. გვირჩია, ნუ მივაძალებთ ჩვენს შვილებს დღესდღეობით თითქოსდა „პოპულარულ" ისეთ საკვებს, როგორებიცაა ჩიფსები და სხვა მის მაგვარი. საინტერესოდ იყო გადმოცემული ინფორმაცია პირველი და მეორე ტიპის დიაბეტის შესახებ. ჩემი აზრით, როცა თითოეული ჩვენგანი საფუძვლიანად გაერკვევა ამ საკითხებში, ვიხსნით არა მარტო ჩვენს თავს, არამედ ჩვენ გარშემო მყოფთაც. ასეთი აქტუალური თემის გაშუქება ნამდვილად აუცილებელი და სასარგებლოა, რათა ჩვენი ქვეყანაც გახდეს იმ განვითარებულ ქვეყანათა რიცხვში, რომლებმაც დაამარცხეს დიაბეტი, როგორც დაავადება.

# მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატში ბორის სკოლა-პანსიონის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს

20 აპრილს ქალაქ ქუთაისში, იმერეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში, მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი გაიმართა. მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ბორის სკოლა-პანსიონის (დირექტორი ჰამლეტ ბერაძე) გოგონათა და ვაჟთა ნაკრები წარმოადგენდა, რომლებიც ხარაგაულის მასშტაბით, აღნიშნული სახეობის გამარჯვებულები გახდნენ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტის სპორტის საკითხებში უჩა ცხადაძის ინფორმაციით, ნახევარფინალურ თამაშში ბორის სკოლა-პანსიონის გოგონათა გუნდი (თამუნა გიორგაძე,დეა ბერაძე, ნია ბერაძე და ფიქრია ცისკაძე) ქუთაისის უძლიერეს გოგონათა ნაკრებს დაუპირისპირდა

უჩა ცხადაძე: „ჩვენმა გოგონებმა პროფესიონალურად ითამაშეს და მოწინააღმდეგე გუნდი 2-1 დაამარცხეს. ფინალში თერჯოლის გოგონათა გუნდს შევხვდით, რომელსაც ღირსეულად 2-1 მოვუგეთ და გავიმარჯვეთ. რაც შეეხება ვაჟთა ნაკრებს (სპარტაკ ნიქაბაძე, გიორგი მალხაზის ძე გიორგაძე, გიორგი პავლეს ძე გიორგაძე, ოთო ეჯიბაძე) მათ პირველ ეტაპზე თერჯოლის გუნდს მოუგეს, შემდეგ ეტაპზე ტყიბულს და ნახევარფინალში, სამწუხაროდ, ჭიათურასთან დამარცხდნენ. დიდი მადლობა ბავშვების მწვრთნელს, სკოლის სპორტის მასწავლებელს გიგა ბერაძეს, რომელმაც ბავშვების მომზადებაში დიდი შრომა ჩადო და ასევე ბავშვებს, რომლებმაც ამ წარმატებით ხარაგაული წარმოაჩინეს".

3 მაისს ქუთაისობის დღესასწაულზე, საზეიმო ვითარებაში იმერეთის სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე გამარჯვებულ ბორის სკოლა -პანსიონის გოგონათა ნაკრებს, სხვადასხვა ჯილდოთი და პრიზით დააჯილდოებენ.

გოგონები სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში საქართველოს მასშტაბით გამარჯვებულ ბავშვებთან ერთად ორი კვირით ზაფხულში ანაკლიის ულამაზეს ბანაკში დაისვენებენ.

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
**დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში"**
**დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12**